

ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის
სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, 2017

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი

„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სრული(ბეჭდურ-ელექტრონული) პაკეტი“



გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material

კონცეფციის ავტორები და შემდგენლები: **კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია**

მთარგმნელი: **გიზხანუმ ახმედოვა**

რედაქტორი: **ქეთევან გოჩიტაშვილი**

ISBN

ადამიანის უფლებები - პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები, აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებასა და დეკლარაციაში.

ავადობა - დაავადების ხდომილებათა მაჩვენებელი მოსახლეობაში.

ავადობის დათრევნა - ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ადამიანები იცხოვრებენ უფრო დიდხანს აქტიური ცხოვრებით და სიცოცხლის ბოლო წლებამდე არ შეაწუხებთ ჯანმრთელობის გაუარესება.

ავთარკია - თვითმმართველობა.

ავტომატიზაცია - მუშახელის მანქანა-დანადგარებით ჩანაცვლება და სამუშაო ადგილის შესაბამისი რეორგანიზება.

ალტრუიზმი - სხვათა კეთილდღეობაზე ზრუნვა,

İnsan hüquqları beynəlxalq ictimaiyyət tərəfindən tanınmış və müxtəlif beynəlxalq razılaşma və bəyannamədə müəyyən edilmiş siyasi hüquqlar və mülki azadlıqlardır.

Xəstəlik əhali arasında xəstəliklərin qisminin göstəricisi.

Xəstəliyin yubadılması hipotezdir ki, bunun əsasında insanlar daha çox aktiv həyat sürəcək və ömürlərinin sonuna qədər onları səhhətlərinin pisləşməsi narahat etməyəcəkdir.

Avtarkiya özünüidarəetmə

Avtomatlaşdırma işçi qüvvəsinin maşın-avadanlıqlarla əvəz edilməsi və iş yerinin yenidən müvafiq təşkili.

Altruizm başqalarının firavanlığına qayğı göstər-

რაც საერთო სიკეთის გააზრებაზეა დამოკიდებული.

ალტრუისტული თვით-მკვლელობა - ისეთი თვითმკვლელობა, რომელიც ჯგუფის ან საზოგადოების უკიდურესი მიმდევრობის შედეგია.

ამბოხი - ახალი მიზნების დასახვა და მათი მიღწევა ახალი საშუალებებით.

ამორჩეული სამედიცინო ორგანიზაცია (PPO) - ექიმთა ჯგუფი, რომელიც ფასდაკლებით სთავაზობს კონკრეტულ სერვისებს პაციენტთა გარკვეულ ჯგუფებს.

ანარქია - სიტყვა-სიტყვით მმართველობის გარეშე. იგი ხშირად გამოიყენება უარყოფით კონტექსტში დესტაბილიზაციისა და ქაოსის აღსანიშნავად.

ანთროპოცენტრიზმი - შეხედულება, რომლის თანახმადაც ადამიანის სასი-

məkdir ki, bu da ümumi xeyrin düşünməsindən asılıdır.

Altruist intiharı qrupun və ya cəmiyyətin ən ifrat ardıcılığının nəticəsidir.

Üsyan yeni məqsədlərin qarşıya qoyulması və onların yeni vasitələrlə əldə edilməsidir.

Seçilmiş tibbi təşkilat (PPO), xəstələrin müəyyən qruplarına endirimlə konkret servislər təklif edir həkimlər qrupudur.

Anarxiya hərfi mənada idarəetmə xaricində. Ondan bir çox hallarda mənfi kontekstdə qeyri-sabit vəziyyəti və xaosu qeyd etmək üçün istifadə edirlər.

Antroposentrizm nəzər, ona əsasən də, həm əxlaqi və eləcə də fəlsəfi nöqtəyi-nəzərdən,

ცოცხლო მოთხოვნილე-ბასა და სურვილებს, როგორც ზნეობრივი, ასევე ფილოსოფიური თვალსაზრისითაც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება.

ანიმიზმი - იდეა იმის შესახებ, რომ ყველა ნივთსა და საგანს სული აქვს.

ანკეტირება - კვლევის მეთოდი, რომელიც კითხვარებს ან ინტერვიუებს, ან ორივეს ერთად იყენებს იმის დასადგენად, როგორ ფიქრობენ, განიცდიან და მოქმედებენ ადამიანები.

ანომია - იმ წესებისა და ღირებულებების შელახვა, რომელიც მართავს და ამთლიანებს სოციალურ ცხოვრებას და ინდივიდებს საკუთარი ადგილის პოვნის განცდას ანიჭებს.

ანომიური თვითმკვლელობი ისეთი თვითმკვლელობა, რომელიც სოციალური ნორმების არარსებობის, ე.წ. ანომიის მდგომარეობის შედეგია.

insanın həyat tələbi və istəklərinə əsas önəm verilir.

Animizm hər bir əşyanın və predmetin ruhunun olduğu haqqında ideya.

Anketləşdirmə tədqiqat metodudur ki, anketlərdən və ya müsahibələrdən və ya hər ikisindən birlikdə istifadə olunur ki, insanların nə düşündükləri, hiss etdikləri və hərəkət etdikləri təyin edilsin

Anomiya sosial həyatı idarə edən və birləşdirən və fərdlərə öz yerlərini tapmaq hissini verən qaydaların və dəyərlərin təhqir edilməsidir

Anomik intihar sosial normaların olmadığı, b.a. anomiya vəziyyətinin nəticəsində intihardır.

ანტიპოლიტიკა - ოფიციალური პოლიტიკითა და პოლიტიკური მექანიზმებით გამონეეული იმედგაცრუება, გამოხატული სისტემის ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით ან პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უარის თქმით.

არასახელმწიფო აქტორი - საერთაშორისო ურთიერთქმედების მონაწილე.

არათორმალური სანქცია - არაოფიციალური ზენოლა დამყოლობის მიღწევის მიზნით, როგორცაა, ერთი მხრივ, დაცინვა, გარიყვა, უკმაყოფილება (უარყოფითი სანქციები) და, მეორე მხრივ, მონონება და შეეება (დადებითი სანქციები).

არათორმალური სექტორი - ეკონომიკური აქტივობა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ დამსაქმებელ-დასაქმებულის ურთიერთობას და რომელზეც არ ვრცელდება გადასახადების გადახდა და

Antisiasət rəsmi siyasət və siyasi mexanizmlərin səbəb olduğu ümidlərin boşə çıxmasıdır və bu da sistemin müxalifət partiyalarının dəstəyi və ya siyasi proseslərdə iştiraka etiraz edilməsi ilə ifadə olunur.

Qeyri-dövlət aktoru beynəlxalq qarşılıqlı hərəkətlərin iştirakçısı.

Qeyri-rəsmi sanksiya havadarlığın əldə edilməsi məqsədilə qeyri-rəsmi təsir, məsələn, bir tərəfdən, rişxənd, kənarlaşdırma, narazılıq (mənfi sanksiyalar) və digər tərəfdən, bəyənmə və tərifləmə (müsbət sanksiyalar).

Qeyri-rəsmi sektor iqtisadi fəallıq, işəgötürən və işəgötürülənlə adi əlaqədən kənarlaşır və buna vergilərin ödənilməsi və dövlət nəzarəti şamil edilmir.

სახელმწიფო კონტროლი.

არათორმალური სტრუქტურა - არათორმალური ნორმები, განვითარებული ჯგუფის წევრებს შორის იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც წესებში არ არის მოცემული არასასურველი თუ არასაჭირო შრომის აღმოსაფხვრელად და ჯგუფის წევრების ინტერესების დასაცავად.

არჩევნები - არჩევითი თანამდებობების დაკავების საშუალება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის – ამომრჩევლის გადაწყვეტილების თანახმად.

ასაკი - ბიოლოგიურად ეს არის წლები, მოცოლებული ადამიანის დაბადებიდან. სოციოლოგიურად, ეს ცნება მოიცავს კულტურულ დეფინიციებსაც იმის შესახებ, თუ რა მოეთხოვებათ ან შეესაბამებათ ადამიანებს სხვადასხვა ასაკში. ეს დეფინიციები სხვადასხვა საზოგადოებასა და კულ-

Qeyri-rəsmi struktur inkişaf etmiş qrupun üzvləri arasında inkişaf etmiş qrup üzvləri arasında xoşagəlməz və ya lazım olmayan hüquqlar, imkanlar və xidmətlər haqqında yalnız onun yaşına görə qaydalarda problemlərin həlli üçün qeyri-rəsmi normalar.

Seçkilər əhalinin müəyyən hissəsinin – seçicinin qərarına əsasən seçimli vəzifənin tutulması vasitəsi.

Yaş bioloji cəhətdən insanın doğulduğundan onu müşayiət edən illərdir. *Sosioloji* cəhətdən, bu anlayış insana müxtəlif yaşında nəyin tələb olunduğu və ya uyğun olduğu haqqında mədəni definisiyalardan ibarətdir. Bu definisiyalar müxtəlif cəmiyyət və mədəniyyətdə fərqlidir.

ტურაში სხვადასხვანაირია.

**ასაკობრივი გარდამავ-
ლობისადმი მიძღვნილი
რიტუალები** - სახალხო
საზეიმო ცერემონიები, რომ-
ლებიც ადამიანის ერთი ასა-
კობრივი სტატუსიდან მეო-
რეზე გადასვლას ეძღვნება.

**ასაკობრივი დისკრიმი-
ნაცია** - ინდივიდისთვის
უარის თქმა გარკვეულ
უფლებებზე, შესაძლებ-
ლობებსა და მომსახურე-
ბაზე მხოლოდ მისი ასაკის
გამო.

ასაკობრივი ზრდა -
ადამიანის გადაადგილება
ცხოვრების კურსზე დაბადე-
ბიდან სიკვდილამდე

ასაკობრივი კოჰორტა -
ადამიანების კატეგორია,
რომლებიც დაიბადნენ
ერთსა და იმავე წელს ანუ
კონკრეტული წლის უახ-
ლოეს პერიოდში აქეთ-იქით.

ასაკობრივი რანჟირება -
ადამიანების სოციალურ
კატეგორიებად კლასიფი-
ცირება ასაკის მიხედვით.

Yaş keçidinə həsr edilmiş mərasimlər xalq şənliyi, onlar insanın bir yaş statusundan ikinciyə keçidinə həsr olunurlar.

Yaş diskriminasiyası fərdlər üçün müəyyən hüquqlara, imkanlara və xidmətə yalnız onun yaşına görə imtina edilməsi

Yaş artımı həyat kursunda doğulduğundan öləne qədər insanın yerdəyişməsi

Yaş kohortası insanların kateqoriyası, hansılar eyni ildə, yəni konkret ilə ən yaxın müddətdə doğulmuşlar.

Yaş sırası insanların yaşa əsasən sosial kateqoriyalara ayrılması.

ასაკობრივი სტრუქტურა - ცხოვრების კურსის თითოეულ საფეხურზე მყოფი ადამიანების რაოდენობა.

ასაკობრივი შედგენილობა - მოდელი, სადაც მოსახლეობის წევრები განაწილებულნი არიან სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში.

ასაკობრიობა - ასაკის საფუძველზე ადამიანის ნეგატიური შეფასების სისტემა, რომელსაც ძირითადად მოხუცებთან მიმართებაში იყენებენ.

ასიმილაცია¹ - პროცესი, რომელშიც სუბკულტურათა ძველი და ახალი წევრები თმობენ მშობლიური კულტურის ნიმუშებს და იხრებიან იმ საზოგადოებაში არსებული დომინანტი კულტურისკენ, რომელშიც უხდებათ ცხოვრება.

ასიმილაცია² - პროცესი, რომლის დროსაც იმიგრანტი საზოგადოება ფასეულობებთან და ცხოვრების

Yaş strukturu həyat kursunun hər bir pilləsində olan insanların sayı.

Yaş tərkibi əhali üzvlərinin müxtəlif yaş kateqoriyalarında bölünməsi.

Yaşlılıq yaş əsasında insanın neqativ qiymətləndirmə sistemi, əsasən yaşlılarla münasibətdə istifadə edilir.

Assimilyasiya¹ submədəniyyətlərin qoca və yeni üzvlərinin doğma mədəniyyət nümunələrini tərk etdikləri bir prosesdir və yaşamalılı olduqları cəmiyyətdə mövcud dominant mədəniyyətə əyilirlər.

Assimilyasiya elə bir prosesdir ki, bu zaman imiqrant cəmiyyət dəyərləri və həyat qaydası ilə uyğunlaşdırılaraq və

წესთან შეწყობითა და მისდამი ლოიალობით, საკუთარ კულტურულ თვითმყოფადობას კარგავს.

ასოციაცია - ნებაყოფლობითი, წევრთა საერთო ინტერესებისა თუ მიზნების გამომხატველი ორგანიზაცია.

აფირმატიული აქტი - კონკრეტული ჯგუფის წევრების გამო განსაკუთრებული მოპყრობა, მათი ინტერესების გათვალისწინება ძირითადად წარსულში მომხდარი დისკრიმინაციის გამოსასწორებლად

აღმასრულებლების კოალიცია - კოალიცია, რომელსაც აერთიანებს საერთო ინტერესები და სოციალური წარმომავლობა.

ახალი ნორმის წარმოქმნის თეორია - პრინციპი, რომ ჯგუფი ქმნის ახალ ნორმებს ბუნდოვანი სიტუაციის გასარკვევად.

ბავშვთა სიკვდილიანობის

ona loyallıqla öz mədəni varlığını itirir.

Assosiasiya könüllü, üzvlərin ümumi maraqları və ya məqsədlərini ifadə edən təşkilat.

Affirmativ akt konkret qrupun üzvlərinə görə xüsusi rəftar, əsasən keçmişdə baş verən diskriminasiyanın düzəlməsi üçün onların maraqlarının nəzərə alınması

İcraçıların koalisiyası ümumi maraqları və sosial mənsələri birləşdirən koalisiya

Yeni normanın yaranması nəzəriyyəsi elə bir prinsipdir ki, qrup qarışıq vəziyyəti ayırd etmək üçün yeni normaları yaradır.

Uşaqların ölüm əmsali

კოეფიციენტი - მოცემულ წელიწადში ერთი წლის ასაკამდე გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა 1.000 ცოცხალ ნაყოფზე.

ბიუროკრატია - ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება შრომის სპეციალიზაციითა და მისი მკაფიოდ განაწილებით, ოფიცერთა იერარქიით, დეტალურად შემუშავებული წესებით, გადანაცვლებების მიღების პროცესში მიუკერძოებლობითა და დამსახურების მიხედვით დაჯილდოებით.

ბრბო - ხალხის დიდი ჯგუფი, რომლის წევრები ემოციურად არიან აღელვებული და ჩართულნი არიან ან იმუქრებიან ძალადობაში ჩართვით.

ბურჟუაზია - სოციალური კლასი კაპიტალისტურ განვითარებად საზოგადოებაში, რომლის საკუთრებასა და კონტროლშია პროდუქციის წარმოების

həmin ildə 1.000 canlı orqanizmə nisbətən bir yaşına qədər ölən uşaqların sayı

Bürokratiya təşkilatı struktur-dur ki, əməyin xüsusiləş-dirilməsi ilə və onun aydın bölgüsü, ofiserlərin iyerarxiyası, ətraflı işlənmiş qaydalarla, qərarların qəbul edilmə prosesində qərəzsizlik və xidmətinə əsasən xarakterizə olunur.

İzdiham üzvləri emosional olaraq təlatümlü və ya zorakılığa cəlb etməklə hədə-qorxu gələn camaatın böyük qrupu.

Burjuaziya inkişafda olan kapitalist cəmiyyətdə sosial sinifdir ki, məhsulun istehsal vasitələri onun əmlakında və nəzarətindədir (torpaq, fabriklər, maşınlar...)

საშუალებები (მინა, ფაბრიკები, მანქანები...)

გაგება - ტერმინი იმის გასაგებად, რას ფიქრობენ და გრძობენ ადამიანები.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა - გაეროს მთავარი სათათბირო ორგანო, გაეროს ყველა წევრით წარმოდგენილი და წესდებით უფლებამოსილი - გადაწყვიტოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების ფართო წრე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებზე, იუნესკო - გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება, შექმნილი ნაკლებგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის წერა-კითხვის დონის ამაღლებისთვის ხელშეწყობის, სამეცნიერო და კულტურული გაცვლების ინტენსიფიკაციისა და

Anlayış insanların nə düşündüyü və hiss etdiyini başa düşmək üçün termin.

Birləşmiş Millətlərin Baş Assambleyası BMT-nin əsas iclas orqanı, BMT-nin bütün üzvləri ilə təqdim edilmiş və nizamnamə ilə səlahiyyətlidir ki, siyasi, iqtisadi və sosial məsələlərin geniş dairəsini həll etsin.

Elm və mədəni məsələlər üzrə Birləşmiş Millətlər təşkilatı, UNESCO BMT-nin xüsusi qurumudur ki, az inkişaf etmiş ölkələrin əhalisinin yazı-oxu səviyyəsinin yüksəldilməsinə dəstək verilsin, elmi və mədəni mübadilələrin intensivləşdirilməsi və məlumatların yayımı məqsədilə yaradılmışdır.

ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

გაერთიანებული მეტროპოლიტანური სტატისტიკური ტერიტორია - ერთი ან რამდენიმე ქალაქი თავისი შემოგარენებით, რომლის მოსახლეობა მილიონს აღემატება.

გაზეთი - პერიოდული (ყოველდღიური, ყოველკვირეული...) გამოცემა ფურცლების სახით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

გამომწვევი მოვლენა - შემთხვევა, რომელიც ხალხის ვარაუდსა თუ ეჭვებს ამართლებს და კოლექტიურ ქმედებას იწვევს.

გამრავლების ოჯახი - ოჯახი, რომელიც შედგება ცოლ-ქმრისგან და შვილებისგან.

განათლება - კულტურის, უნარ-ჩვევების, ცოდნისა და გამოცდილების ფორმა-

Birləşmiş metropoliten statistik ərazi öz ətrafları ilə bir və ya bir neçə şəhərdir ki, bunun da əhalisi milyondan çoxdur.

Qəzet dövri (gündəlik, həftəlik...) səhifələrin şəklində nəşr, baş verən ictimai-siyasi həyat haqqında məlumatdan ibarətdir.

Səbəbkər hadisə camaatın ehtimalı və ya şübhələrini doğruldan və kollektiv əmələ səbəb olan bir haldır.

Çoxalan ailə ər-arvaddan və uşaqlardan ibarət bir ailədir.

Təhsil mədəniyyətin, vərdiş-bacıqların, biliyin və təcrübənin rəsmi və müntəzəm

ლური და სისტემატური საშუალება ერთი თაობიდან მეორეზე გადასაცემად ფარული სასწავლო პროგრამა – ქცევის დაუნერელი კოდექსი, რომელიც სკოლებში ისწავლება და ამზადებს ბავშვებს აკადემიური და სოციალური ნარმატებისათვის გარე სამყაროში.

განზოგადებული სხვა - ზოგადი წარმოდგენა იმაზე, თუ რას მოელოის საზოგადოება ჩვენგან.

განწყობა - კატეგორიული წინასწარგანწყობა ადამიანების მიმართ (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური), რომელიც ეფუძნება რეალურ ან წარმოსახვით მახასიათებლებს.

გარდამავალი სტატუსი - სტატუსი, რომელიც იცვლება დროთა განმავლობაში. ასაკი გარდამავალი სტატუსია, რადგან ადამიანები პერიოდულად გადადიან ერთი ასაკობრივი

vasitəsidir, bir nəsilədən ikinciyə ötürülməsi üçün gizli dərs proqramı – davranışın yazılmamış məəcəsidir ki, məktəblərdə öyrənilir və uşaqları xarici dünyada akademik və sosial nailiyyət üçün hazırlayır.

Ümumiləşdirilmiş başqa ümumi təəvvür ki, cəmiyyət bizdən nəyi gözləyir.

Əhval-ruhiyyə insanlara qarşı ciddi ilkin əhval-ruhiyyə (həm müsbət, eləcə də mənfi), real və ya təsviri xarakterlərə əsaslanır.

Labüd status zamanla dəyişən bir statusdur. Yaş keçici bir statusudur, çünki insanlar dövrü olaraq bir yaş kateqoriyasından digərinə keçirlər.

კატეგორიიდან მეორეში.

გარიგება - პროცესი დანაშაულის აღიარების, რომლის დროსაც საოლქო პროკურორი სთავაზობს ეჭვიტანილს ბრალის შემსუბუქებას იმ შემთხვევაში, თუ იგი აღიარებს დანაშაულს და უარს იტყვის სასამართლო პროცესზე.

გათართობული ოჯახი - ოჯახი, რომელიც შედგება სხვადასხვა თაობის წევრებისგან და სხვა ნათესავებისგან. ოჯახის ბირთვი სისხლით ნათესავებისგან შედგება, ხოლო მათი მეუღლეები ფუნქციურად მარგინალურ და პერიფერიულ მდგომარეობაში არიან.

გაცხადებული ფუნქცია - სკოლების ფუნქცია, შეასწავლონ ახალგაზრდებს აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორცაა წერა და კითხვა.

გემელმატეტი - საზოგადოების ან ასოციაციის

Sövdələşmə cinayətin etirafı prosesidir, bu zaman dairə prokuroru şübhəli şəxsə cinayəti etiraf etdiyi və məhkəmə prosesindən imtina etdiyi halda günahının yüngülləşdirilməsini təklif edir.

Geniş ailə müxtəlif nəslin üzvlərindən və başqa qohumlardan ibarət bir ailə. Ailənin özəyi qan qohumlarından ibarətdir, onların həyat yoldaşları isə funksiya baxımından marginal və periferik vəziyyətdədirlər.

Elan edilmiş funksiya yeni-yetmələrə yazı və oxu kimi akademik vərdiş-bacarıqları öyrədən məktəblərin funksiyadır.

Qezəşaft cəmiyyətə və ya assosiasiya uyğundur və

შესატყვისი, რომელიც აღ-
წერს იმგვარ დასახლებებს,
რომლებიც ხასიათდება
მრავალრიცხოვანი მოსახ-
ლეობით, სოციალური და
გეოგრაფიული მობილო-
ბით და შედარებით
უპიროვნო დამოკიდებუ-
ლებით. ამგვარ საზოგადო-
ებებში ადამიანები ძირითა-
დად უცხონი არიან
ერთმანეთისთვის.

გემინშაფტი - მცირე,
მეტად სტაბილური ტრადი-
ციული დასახლება, სადაც
ადამიანები სიცოცხლის
ბოლომდე ცხოვრობენ და
ინარჩუნებენ მძლავრ
სოციალურ და ეკონომიკურ
კავშირებს.

გენდერი - სოციალურ და
პოლიტიკურ თეორიებში
მამაკაცებსა და ქალებს
შორის არსებული სოციო-
კულტურულ სხვაობები.

გენდერული როლები -
განსხვავებული დავალებები
და აქტივობები, რომელსაც
საზოგადოება მიანერს

çoxsaylı əhali ilə xarakterizə
olunan evləri, sosial və coğrafi
səfərbərliyi və nisbətən
şəxsiyyətsiz yanaşma ilə təsvir
edilir. Belə bir cəmiyyətlərdə
insanlar əsasən bir-birindən
kənardırlar.

Qemaynşaft az, daha sabit
əənəvi yaşayış məntəqəsidir,
burada insanlar həyatlarının
sonuna qədər yaşayırlar və
gərgin sosial və iqtisadi
əlaqələri qoruyub saxlayırlar.

Gender sosial və siyasi
nəzərlərdə kişilər və qadınlar
arasında mövcud sosial-mədəni
fərqlər.

Gender rolları fərqli
tapşırıqlar və fəallıqlar, bunu
cəmiyyət hər bir cinsə yazır və
kişi və qadın əlaməti ilə

თითოეულ სქესს და განსაზღვრავს მამაკაცურობის ან ქალურობის ნიშნით.

გენდერული სტერეოტიპები - ზომავე მეტად გამარტივებული, მაგრამ მყარი იდეები, რომელიც შეეხება მამაკაცებისა და ქალების თვისებებს.

გენდერული უთანასწორობა - უთანასწორობა მამაკაცთა და ქალთა შორის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში, რაც გამოიხატება არათ-აბარი ანაზღაურებით ერთ-ნაირ სამუშაოზე, განათ-ლების მიღების ნაკლები შესაძლებლობებით, პოლი-ტიკურ ცხოვრებაში მონა-ნიღეობის შეზღუდვით და ა.შ.

გენოციდი - მასობრივი მკვლელობების, იძულებითი გადასახლებების, ხელოვნურად თუ სტერე-ლიზაციის გზით ხალხის განადგურება ეროვნუ-ლი,

müəyyənleşdirir.

Gender stereotipləri həddən çox sadələşdirmiş, hərçənd kişilərin və qadınların xassələrinə aid ciddi ideyalardır.

Gender bərabərsizliyi kişilərin və qadınların arasında iqtisadi, sosial və siyasi sahələrdə bərabərsizlikdir və bu da eyni iş üzrə qeyri-bərabər ödənişlə ifadə olunur, təhsil almanın az imkanları ilə, siyasdi həyatda iştirakın məhdudiyəti ilə və s.

Genosid (soyqırım) kütləvi qətlərin, məcburi köçmələrin, süni və ya sterilizasiya yolu ilə əhalinin milli, dini, etnik və irqi əlaməti ilə məhv edilməsi.

რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით.

გენტრიფიკაცია - მუშათა კლასით ან მოსახლეობის ღარიბი ფენით დასახლებული ტერიტორიების გადაქცევა საშუალო და ზედა საშუალო ფენების სამოსახლოდ.

გლეხები - წვრილი ფერმერები, რომლებიც ოჯახებისა და მარტივი ტექნიკის დახმარებით თავს მოსაველითა და საქონლით ირჩენენ.

გლობალიზაცია - პროცესი, რის შედეგადაც ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრები, სხვადასხვა სფეროში სულ უფრო გამჭვირვალეა, მსოფლიოს ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირები იბმება.

დაბალგანვითარება - თანამედროვე ეკონომიკური ზრდის ნაკლებობა, რაც ახასიათებს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს მდიდარ და განვითარებულ

Gentrifikasiya fəhlə sinfinin və ya əhalinin yoxsul təbəqəsinin yaşadıqları ərazilərin orta və yuxarı təbəqələrin yaşayış yerinə çevrilməsi.

Kəndlilər xırda sadə texnikanın köməkliliyi ilə özlərini və ailələrini məhsul və malla dolandıran fermerlər.

Qloballaşdırma prosesdir ki, bunun nəticəsində milli dövlətlərin sərhədləri, müxtəlif sahədə daha şəffaf olur, dünya xalqlarının arasında sıx qarşılıqlı əlaqələr qurulur.

Aşağı inkişaf müasir iqtisadi artımın çatışmazlığı, bu da zəngin və inkişaf etmiş ölkələrlə müqayisədə az inkişaf etmiş ölkələri xarakterizə edir.

ქვეყნებთან შედარებით.

დაბალი დონის პოლიტიკა - ნეომარქსიზმის თეორიებში საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის მოდელი, დამყარებული იმ მტკიცებულებაზე, რომ ნაკლებგანვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების ეკონომიკა ექსპლოატირდება განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების მიერ.

დაბალი კლასი - სოციალური კლასი, რომელიც მოიცავს ხალხთა ჯგუფს საკუთრების გარეშე, უმეტესწილად უმუშევარნი, რომელთაც არა აქვთ ძალაუფლება და პრესტიჟი.

დაბინძურება - გარემოსთვის მიყენებული ზარალი, გამონვეული ნარჩენების ისეთი რაოდენობით, რომლებიც გადატვირთავენ ბუნებრივი რეციკლირების სისტემებს.

დადგენილი ფასი - ანაზღაურების გამოთვლა კონ-

Aşağı saviyyeli siyasət neomarksizm nəzəriyyələrində beynəlxalq iqtisadiyyat və siyasətin modelidir ki, az inkişaf etmiş sənayesi olan ölkələrin iqtisadiyyatının inkişaf etmiş ölkələr tərəfindən istismar olunması sübutlarına əsaslanır.

Aşağı sinif əmlakı olmayan xalqlar qrupundan ibarət sosial sinifdir, əsasən işsizlər ki, hökmranlığı və nüfuzları yoxdur.

Çirkləndirmə ətraf mühit üçün vurulan ziyandır ki, buna səbəb də təkrar təbii sistemləri həddən çox yükləyən tullantıların sayıdır.

Təyin edilmiş qiymət konkret xidmət üçün vərdiş-

კრეტული სამსახურისთვის უნარ-ჩვევების, მონდომების, პასუხისმგებლობასა და ამ სამსახურთან დაკავშირებული რისკის ფაქტორის გათვალისწინებით.

დადებითი დისკრიმინაცია - დისკრიმინაციის დასაძლევად კონკრეტული ზომები, რაც გამოიხატება უმცირესობებისათვის კონკურენციის განევის შესაძლებლობების გაზრდაში.

დამოკიდებულების თეორია - მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქვეყნების დაბალგანვითარება, ძირითადად, გამონვეულია მათი დამოკიდებულებით ინდუსტრიალიზებულ და განვითარებულ ქვეყნებზე.

დამოკიდებული ცვლადი - თვისება ან ფაქტორი, რომელზეც ექსპერიმენტის დროს გავლენას ახდენს ერთი ან მეტი დამოკიდებელი ცვლადი.

დამოუკიდებელი ცვლადი - თვისება ან ფაქტორი,

bacarıqların, məsuliyyətin və bu xidmətlə əlaqədar risk amilinin nəzərə alınması ilə ödənişin hesablanması.

Müsbət diskriminasiya diskriminasiyanın dəf edilməsi üçün konkret ölçülər, bu da azlıqlar üçün rəqabətin aparılması imkanlarının artırılmasında ifadə olunur.

Asılılıq nəzəriyyəsi bu fikrin əsasında ölkələrin aşağı inkişafı, əsasən, onların industriallaşdırılmış və inkişaf etmiş ölkələrdən asılılığı ilə əlaqədardır.

Asılı dəyişkən xassə və ya amildir ki, buna eksperiment zamanı bir və ya bir neçə müstəqil dəyişkən təsir göstərir.

Müstəqil dəyişkən xassə və ya amildir ki, eksperiment

რომელზეც ექსპერიმენტის დროს გავლენას ახდენს ერთი ან მეტი დამოკიდებული ცვლადი.

დანაშაული - სახელმწიფოს მიერ კანონით მიღებული ნორმის დარღვევა.

დევიანტური კარიერა - თანდათანობით შერწყმა დევიანტურ ცხოვრების წესთან და დევიანტურ სუბკულტურასთან დაკავშირება.

დევიაცია - ქმედება, რომელიც, სოციალური ჯგუფის აზრით, არღვევს მათ ნორმებს.

დემაგოგი - პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ხალხის გარკვეულ მასას ისტერიული ენთუზიაზმის აგორების მეშვეობით აკონტროლებს.

დემოგრაფია - მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მშობიარობა, სიკვდილიანობა და მიგრაცია მოსახლეობის შედგენლობაზე, ზომასა და

zamanı ona bir və ya bir neçə asılı dəyişkən təsir göstərir.

Cinayət dövlət tərəfindən qanunla qəbul edilmiş normanın pozuntusu.

Deviant karyera yavaş-yavaş deviant həyat qaydası ilə birləşmək və deviant submədəniyyətə bağlılıq.

Deviasiya sosial qrupun fikrincə, onların normalarını pozan bir əməl.

Demaqoq siyasi liderdir ki, xalqın müəyyən kütləsinə tarixi entuziazmın oyadılması ilə nəzarət edir.

Demoqrafiya doğumun, ölümün və miqrasiyanın əhalinin tərkibinə, ölçüsünə və yayımına necə təsir göstərməsini öyrənən elmdir.

გავრცელებაზე.

დესოციალიზაცია - თვითმიჯისა და ღირებულებების დაკარგვის პროცესი, რომელსაც, ჩვეულებრივ თან მოსდევს ღირებულებებისა და თვითაქმის განსხვავებულ სისტემაში რესოციალიზაცია.

დეტერმინიზმი - რწმენა იმისა, რომ ადამიანის ქმედება თუ არჩევანი გარე ფაქტორების ზემოქმედებითაა გამოწვეული და, ამდენად, თავისუფალი ნება ფიქციაა.

დიადა - ორკაციანი ურთიერთობა ან ჯგუფი.

დიასპორა - ებრაული სიტყვაა და გაბნევას ნიშნავს.

დიპლომატია - მეთოდები და პრაქტიკა, რომელთა დახმარებითაც სახელმწიფო ატარებს საგარეო პოლიტიკას.

დისკრიმინაცია - გარიყვა ან ექსპლუატაცია კონკრეტული ჯგუფის წევრობის გამო.

Desosiallaşdırma fərdi imic və dəyərlərin itirilmə prosesidir ki, adətən onun ardınca dəyərlərin və özünü dərkətmənin fərqli sistemdə resosiallaşdırması gəlir.

Determinizm insanın əməlinin və ya seçiminin xarici amillərin təsiri ilə yarandığına olan inamdır ki, müstəqil iradə də fiksiyadır.

Diada ikinəfərlik əlaqə və ya qrup.

Diaspora yəhudi sözüdür və səpələnməni bildirir.

Diplomatiya metodlar və təcrübədir ki, bunların vasitəsilə də dövlət xarici siyasəti həyata keçirir.

Diskriminasiya konkret qrupa üzv olduğuna görə, təcridmə və ya istismardır.

დიფერენციული ასოციაცია
- პროცესი, რომლითაც ადამიანები სოციალიზდებიან ჯგუფში გაბატონებულ ქცევაში.

დიქტატურა - მმართველობის იმგვარი ფორმა, როდესაც აბსოლუტური ძალაუფლება ერთი პიროვნების ხელშია თავმოყრილი და ამ გავებით დიქტატურა ავტოკრატიის სინონიმია.

დომინანტი კულტურა - საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ღირებულებები, ნორმები, ტრადიციები, შეხედულებები, რომლებიც მთელ დანარჩენ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას.

დრამატურგიული მიდგომა
- სოციოლოგიური პერსპექტივა, სადაც სოციალური ურთიერთქმედება განიხილება თეატრალური წარმოდგენის ანალოგად და ხალხი თავისი ქცევის „ინსცენირებას“ იმგვარად ახორციელებს, რომ მათ ისეთი გამომხაურება

Differensiyalı (fərqli) assosiasiya insanların qrupda hakim kəsilən davranışda sosiallaşdıqları proses.

Diktatura hakimiyyətin elə bir formasıdır ki, mütləq hakimiyyət bir şəxsin əlində cəmləmiş və bu anlamda diktatura avtok-ratiyanın sinonimidir.

Dominant mədəniyyət cəmiyyətin müəyyən qrupunun dəyərləri, normaları, ənənələri, nəzərləri ki, bunlar da qalan cəmiyyətə təsir göstərilir.

Dramaturgiya yanaşması sosioloji perspektiv, burada sosial qarşılıqlı əməl teatral tamaşanın analoqu kimi təhlil edilir və camaat öz davranışının “quruluşunu” elə həyata keçirir ki, bu da onların istədiyi əksədamı yaradır.

გამოიწვიონ, როგორც თვითონ სურთ.

ეგალიტარული ძალაუფლება - შემთხვევა, როცა ძალაუფლება ოჯახში ორივეზე (ქალზეც და კაცზეც) ნაწილდება.

ეგზოგამია წესი, რომელიც ადამიანისგან მოითხოვს, თავისი ჯგუფის გარეთ არსებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელზე იქორწინოს.

ეგო - ზიგმუნდ ფროიდის მიერ შემოღებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ფსიქიკის პრაქტიკულ, რეალობაზე ორიენტირებულ ნაწილს, რომელიც პოულობს სოციალურად მისაღებ გზებს სიამოვნების მიღებისაკენ მიმართულ ბიოლოგიურ სურვილებს.

ეგოისტური - ისეთი თვითმკვლევლობა, რომელიც სოციალური იზოლაციისა და ინდივიდუალიზმის შედეგია.

ევანგელისტები - ქრის-

Eqalitar hökmranlıq hökmranlığın ailədə hər ikisinə (qadına da, kişiyə də) bölündüyü haldır.

Eqzoqamiya insanlardan öz qrupundan kənar olan sosial qrup nümayəndəsi ilə evlənməyi tələb edən bir qayda.

Ego – Ziqmund Freyd tərəfindən qəbul edilmiş termindir ki, psixikanın praktiki, gerçəkliyə yönümlü hissəsini bildirir ki, bu da zövq almağa yönəlmiş bioloji istəklərin sosial cəhətdən qəbul edilən yollarını tapır.

Egoist intiharı sosial təcrid olunma və individualizmin nəticəsi olan bir intihardır.

Evangelistlər Müqəddəs

ტიანები, რომლებიც უპირველეს საქმედ მიიჩნევენ წმინდა წერილის სწავლებას.

ევროპის კავშირი - ევროგაერთიანების მემკვიდრე ორგანიზაცია, როგორც მასტრიხტის 1992 წ. ხელმოწერილ შეთანხმებაშია ნათქვამი.

ევროპული გაერთიანება - შექმნილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ რომის 1957 წ. შეთანხმების საფუძველზე. წარმოადგენს ინტეგრაციული პროცესების ეტაპებს.

ევროპული კონცერნი - ნაპოლეონის ომების შემდეგ 1815 წ. ვენაში შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, პრუსიისა და სხვათა ევროპული ქვეყნების მიერ, რომელიც მიმართული იყო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისაკენ და დავების ომში გადამზრდის

məktubun öyrənilməsini başlıca iş hesab edən xristianlar.

Avropa İttifaqı Avropa Birliyinin varisi olan təşkilatdır, bu barəsində 1992-ci ildə imzalanmış Sazişdə deyilir.

Avropa Birliyi Qərbi Avropa ölkələri tərəfindən 1957-ci il Roma müqaviləsi əsasında yaradılmışdır. İntegrativ proseslərin mərhələlərini təqdim edir.

Avropa konserni Napoleonun müharibələrindən sonra 1815-ci ildə Vyanada Rusiyanın, Böyük Britaniyanın, Prussiyanın və digər Avropa ölkələrinin tərəfindən yaradılmış Beynəlxalq əlaqələr sistemidir ki, beynəlxalq problemlərin həllinə və mübahisələrin müharibəyə keçidinin qarşısını alınmasına yönəlmişdir.

შეჩერებისკენ.

ევროსკეპტიციზმი - ევროპასთან შემდგომი ინტეგრაციის წინააღმდეგობა - ძირითადად, დამოუკიდებლობასა და ეროვნულ თვითმყოფადობაზე აქცენტირებით.

ევროცენტრიზმი - კულტურის თვალსაზრისით მიკერძოებული მიდგომა, რომლის თანახმადაც ევროპული, თუ ზოგადად, დასავლური იდეები, ფასეულობები და იმთავითვე „ჭეშმარიტად“ მიიჩნევა.

ეთნიკური ჯგუფი - ადამიანების ჯგუფი, რომლებიც აღიქვამენ საკუთარ თავს როგორც საერთო ისტორიისა და კულტურის მქონეებს, და ასევე აღიქმებიან სხვების მიერ.

ეთნოგრაფიული კვლევა - რომლის დროსაც მეცნიერები ადამიანებს თავიანთ ყოველდღიურ გარემოში, როგორც წესი, ხანგრძლ-

Avroskeptisizm Avropa ilə gələcəkdə inteqrasiyaya zidd olmaq - əsasən, müstəqillik və milli varlıq vurğulanır.

Avrosentrizm mədəniyyət nöqtəyi-nəzərindən qərəzli yanaşma ki, ona əsasən də Avropa və ya ümumiyyətlə, Qərb ideyaları, dəyərləri elə əvvəlcədən “həqiqi” hesab edilir.

Etnik qrup insanların qrupu ki, özlərini ümumi tarix və mədəniyyətə malik olan kimi qəbul edir və başqaları tərəfindən də belə qəbul olunurlar.

Etnoqrafik tədqiqat bu zaman alimlər insanlara gündəlik mühitlərində, bir qayda olaraq, uzun müddət müşahidə edirlər.

ივალ აკვირდებიან.

ეთნოცენტრიზმი - საკუთარ კულტურაში არსებული მზა ღირებულებებისა და თეორიების მორგება სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ეთნოსებზე.

ეთნოცენტრიზმი - საკუთარი კულტურის ნიმუშების აბსოლუტური მართებულობის აღიარება და სხვა კულტურების მხოლოდ ამ ჭრილში დანახვა და შეფასება.

ეკლესია - ფართომასშტაბიანი, კონსერვატიული რელიგიური დანესებულება, რომელიც თანაარსებობს ფართო საზოგადოებასთან ერთად.

ეკოლოგია - ბიოლოგიურ ორგანიზმებსა და მათ გარემომცველ სამყაროს შორის ურთიერთობების მოდელი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - ეკონომიკის დარგში ყველაზე განვითარ-

Etnosentrizm öz mədəniyyətində mövcud hazır dəyərlərin və nəzəriyyələrin başqa ictimai qruplara və etnoslara uyğunlaşdırılması. Etnos – ümumi tarixi və mədəni dəyərləri olanlar.

Etnosentrizm öz mədəniyyət nümunələrinin mütləq düzgünlüyünün tanınması və başqa mədəniyyətlərin yalnız bu kəşiddə görünməsi və qiymətləndirilməsi.

Kilsə genişmiqyaslı, konservativ dini müəssisə ki, geniş cəmiyyətlə yanaşı fəaliyyət göstərir.

Ekologiya bioloji orqanizmlər və onları əhatə edən aləm arasında əlaqələr modeli.

İqtisadi əməkdaşlıq və inkişafın təşkilatçılığı iqtisadiyyat sahəsində ən inkişaf etmiş ölkələrin birliyi.

რებული ქვეყნების გაერთიანება. ძირითადი მიზანი – ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისათვის ხელის შეწყობა.

ხელის შეწყობა.

ეკონომიკური ლიბერალიზმი - მიდგომა, რომლის თანახმად ქვეყნები უკეთ ვითარდებიან ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ჩარევის პირობებში.

ეკონომიკური სისტემა - სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს საზოგადოებაში საქონლის წარმოებისა და მისი და მომსახურების განაწილების ფუნქციას.

ემბარგო - სახელმწიფოს გადანყვეტილება გარკვეულ სახელმწიფოსთან კომერციული კავშირის აკრძალვაზე.

ემიგრაცია - ხალხის გადაადგილება ტერიტორიის გარეთ.

ემპირიული დაკვირვება -

Əsas məqsəd – iqtisadi qarşılıqlı əməkdaşlıq üçün dəstəyin verilməsidir.

İqtisadi liberalizm elə bir yanaşmadır ki, buna əsasən də ölkələr iqtisadi həyatda dövlət tərəfindən minimal müdaxilə şərtlərində daha yaxşı inkişaf edirlər.

İqtisadi sistem sosial təsisatdır ki, cəmiyyətdə malın istehsalı, onun və xidmətinin bölgü funksiyasını yerinə yetirir.

Embarqo dövlətin qərarıdır ki, müəyyən dövlətlə komməriya əlaqəsinə qadağa qoyulsun.

Emiqrasiya əhalinin ərazidən kənara hərəkəti.

Empirik müşahidə elmi

სამეცნიერო მონაცემებში სენსორული ინფორმაციის ორგანიზაცია აბსტრაქციის, ინტერპრეტაციისა და რეკლიკაციის პროცესისა.

ენა - ვერბალური და წერიტი სიმბოლოების სისტემა, რომელიც კომპლექსური მნიშვნელობის გამოხატვის მიზნით გარკვეულ წესებს ემორჩილება.

ენდოგამია - წესი, რომელიც ადამიანისგან მოითხოვს თავისივე წრის, ტომის, ეროვნების, რელიგიის, რასის, დასახლების ან სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელზე იქორწინოს.

ერი - ადამიანები, რომლებიც ერთიანდებიან საერთო კულტურული კავშირებით და ემნიან ერთ სახელმწიფოს.

ესენციალიზმი - მოსაზრება იმის შესახებ, რომ სოციალური იდენტობები მიმართულია ბიოლოგიური ან გაბატონებული სოცია-

məlumatlarda mücərrədlik, şərh və replikasiya prosesində sensor məlumatın təşkilatçılığı.

Dil verbal və yazılı simvolların sistemidir ki, kompleksli mənanın ifadə edilməsi məqsədilə müəyyən qaydalara tabe olur.

Endoqamiya elə bir qaydadır ki, insandan öz dairəsi, icması, milliyyəti, dini, irqi, yaşadığı yerin və ya başqa sosial qrupun nümayəndəsinə evlənməyi tələb edir.

Millət ümumi mədəni əlaqələrlə birləşən və bir dövlət yaradan insanlar.

Esensializm elə bir fikirdir ki, sosial eyniliklər bioloji və ya hakim sosial qüvvələrin tərəfindən yönəlmiş və bundan irəli gələrək, nisbətən

ლური ძალების მიერ და აქედან გამომდინარე, შედარებით მყარია.

ექსპანსიონიზმი - ტერიტორიული გაფართოების მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესია.

ექსპერიმენტი - კვლევის მეთოდი, როცა სუბიექტებს სპეციალურად შექმნილ გარემოში აკვირდებიან.

ექსპრესიული ლიდერობა - ლიდერობა იმისათვის, რომ ჯგუფის წევრებს შორის კარგი განწყობა და ურთიერთობები შენარჩუნდეს.

ექსპრესიული ჯგუფი - ჯგუფი, რომლის წევრებიც იმგვარად გამოხატავენ გრძნობებს და ისე იქცევიან, როგორც სხვა ვითარებაში მათთვის მიუღებელი იქნებოდა.

ვალიდობა - ხარისხი იმისა, როგორ შეუძლია მეცნიერულ კვლევას იმის გაზომვა, რის გაზომვასაც ცდილობს.

möhkəmdir.

Ekspansionizm ərazi genişləndirilməsi məqsədilə həyata keçirilmiş hərbi aqressiya.

Eksperiment tədqiqat metodur ki, subyektləri xüsusi yaradılmış mühitdə müşahidə edirlər.

Ekspressiv liderlik qrup üzvləri arasında yaxşı əhval-ruhiyyə və münasibətlərin qorunub saxlanması üçün liderlik.

Ekspressiv qrup bu qrupun üzvləri başqa vəziyyətdə onlar üçün qəbul edilməz ola biləcək qaydada hisslərini ifadə edir və davranırlar.

Etibarlılıq elmi tədqiqatın ölçməyə çalışdığını necə ölçməsi keyfiyyətdir.

ვესტმინისტერის მოდელი - მართვის სისტემა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფალი საკანონმდებლო ორგანოს მიერაა დამტკიცებული და (თეორიულად მაინც) ანგარიშვალდებულა მის წინაშე.

ვესტფალიის მშვიდობა - შეთანხმება ხელმოწერილი 1648 წ. ევროპაში 30-წლიანი ომის დამთავრების შემდეგ. მან საწყისი დაუღო ნაციონალური სახელმწიფოების სისტემასა და მსოფლიო სახელმწიფო ცენტრისტული მოდელის ფორმირებას.

თანადირექტორობა - იმ ადამიანთა ქსელი, რომლებიც ორი ან მეტი კორპორაციის დირექტორთა საბჭოს წევრები არიან .

თანაცხოვრება - ოჯახი, სადაც წყვილი ქორწინების გარეშე ცხოვრობს.

თაობის ასაკობრივი ჯგუფები ადამიანების ჯგუფები ერთსა და იმავე

Vestminister modeli idarəçilik sistemidir ki, burada icraiyyə başçısı qanunverici orqan tərəfindən təsdiq edilmiş və (nəzəri cəhətdən də) onun qarşısında da hesabat verməlidir.

Vestfaliya sülhü 1648-ci ildə Avropada 30 illik müharibə başa çatdıqdan sonra imzalanmış sazişdir. O, milli dövlətlərin sisteminin və dünya dövlət-mərkəzçilik modelinin formalaş-masının əsasını qoydu.

Həmdirektorluq insanların şəbəkəsidir ki, onlar da iki və ya artıq korporasiyanın direktorlar şurasının üzvləridirlər.

Birgə yaşamaq nikahsız cütlüyün birlikdə yaşadığı ailə.

Nəslin yaşlı qrupları eyni tarixi hadisənin iştirakçıları olan eyni nəsilə insanların

თაობაში, რომელიც ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის მონაწილეები არიან, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომა და დამოკიდებულება აქვთ.

თეთრსაყელოიანთა დანაშაული - დანაშაული, რომელიც ჩადენილია მაღალი სტატუსის მქონე ადამიანების მიერ სამუშაოს შესრულების პერიოდში.

თეზმი - იდეა იმის შესახებ, რომ ზებუნებრივი ძალები მონაწილეობენ დედამიწაზე მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებში.

თემი - მოსახლეობა, რომელსაც ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ღირებულებები და ინტერესები, ხშირი კონტაქტი და სიახლოვის შეგრძნება.

თეოკრატია - სიტყვა-სიტყვით „ღვთის მმართველობა“. პრინციპი, რომლის მიხედვითაც სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა უნდა

გრძოდ, amma onların birbirlərinə fərqli yanaşmaları və münasibətləri var.

Ağyalıqlıların cinayəti işin yerinə yetirilmə dövründə yüksək statusa malik insanlar tərəfindən cinayətin törədilməsi.

Teizm elə bir ideyadır ki, fəvqəl-təbii qüvvələr Yerdə baş verən hadisələr və proseslərdə iştirak edirlər.

İcma bir-biri ilə ümumi dəyərlər və maraqlarla, tez-tez əlaqə və yaxınlıq hissi ilə bağlı olan əhali.

Teokratiya hərfi mənası “Allahın hakimliyidir”. Bu prinsipə əsasən dini hakimiyyət dünyəvidən daha uca olmalıdır. Bu rejimdə hökumət vəzifəsi şəxsiyyətin dini iyerarxiyada

იღვეს. რეუიმი, სადაც სახელისუფლებო თანამდებობა იმისდა მიხედვით ნაწილდება, თუ რა ადგილი უკავია პიროვნებას სასულიერო იერარქიაში.

თეორია - სისტემური მცდელობა იმისა, როგორ შეიძლება იყოს ორი ან მეტი ფენომენი ერთმანეთთან დაკავშირებული.

თვითობა - განსაზღვრული იდენტობის ქონის გრძნობა, რომელიც განგვასხვავენს სხვა ადამიანებისაგან.

თორიზმი - კონსერვატივიზმის დოქტრინა, რომლისთვისაც იერარქიის რწმენა, ტრადიციის მნიშვნელობა, მოვალეობისა და ორგანიციზმის მხარდაჭერაა დამახასიათებელი.

თოფოსნობა - მდგომარეობა, რომლის დროსაც სუვერენული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ადგილობრივი შეიარაღებული დაჯგუფებები გაუ-

hansı yerdə durması ilə paylanır.

Nəzəriyyə iki və ya artıq fenomenin bir-biri ilə necə əlaqədar olduğuna sistemli cəhd.

Eynilik – müəyyən edilmiş eyniliyə malik olma hissi ki, bizi başqalarından fərqləndirir.

Torizm konservatizmin doktrinasıdır ki, bunun üçün də iyerarxiya inamı, ənin əhəmiyyəti, öhdəçilik və təşkilatçılığın dəstəkləndirilməsi xarakterikdir.

Tüfəngçilik (Uorlordizm) elə bir vəziyyətdir ki, bu zaman suveren dövlətin varlığı şərtləndirəndə yerli silahlı qruplaşmalar ardı-arası kəsilmədən hakimiyyət uğrunda mübarizə aparırlar.

თავებლად იბრძვიან
ძალაუფლებისათვის.

იგი - ზიგმუნდ ფროიდის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს იმ ქვეცნობიერი, თანდაყოლილი ბიოლოგიური სურვილების რეზერვუარს, რომელიც მიმართულია სიამოვნების მიღებისკენ.

იდეალიზმი - სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელმაც გავრცელება ჰპოვა მე-20 ს. პირველ ნახევარში. საერთაშორისო საქმეებში მთავარ როლს ანიჭებს საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე მორალს.

იდენტირება ადამიანისთვის იმის შეგრძნება, თუ ვინ არის და საით მიდის. ეს შეგრძნება მოიცავს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან შეგრძნებას.

იზოლაციონიზმი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია სხვა

İD Ziqmund Freydin terminidir ki, təhtəlşüür, anadangəlmə bioloji istəklərin rezervuarını qeyd edir ki, bu da zövq almağa istiqamətlənmişdir.

İdealizm beynəlxalq əlaqələrdə məktəbdir ki, bu da 20-ci əsrin birinci yarısında yayılmağa başladı. Beynəlxalq işlərdə əsas rol beynəlxalq hüquqa, beynəlxalq təşkilatlara, eləcə də mənəviyyata verilir.

İdentikləşdirmək insan üçün kim olduğu və hara getdiyini duymasıdır. Bu hiss keçmişin, indiki dövrün və gələcəyin birlikdə duyğularından ibarətdir.

İzolyasionizm dövlət siyasətidir ki, başqa ölkələrin (siyasi, iqtisadi və s.)

ქვეყნებთან ურთიერ-
თობების (პოლიტიკურ,
ეკონომიკურ და სხვ.)
შეზღუდვაზე.

იმიგრაცია - ხალხის გადა-
ადგილება ქვეყნის მოსახ-
ლეობასა თუ ტერიტორიის
შიგნით.

იმპიჩმენტი - თანამდებ-
ობის პირის გადაყენების
ოფიციალური პროცედურა
პიროვნული თუ პროფე-
სიული გადაცდომის მოტი-
ვით.

ინდიგენიზაცია - შეთვი-
სება; პროცესი, რომლის
შედეგადაც უცხოური ნაწარ-
მი თუ ცხოვრების წესი
გათავისდება ადგილობრივ
მოთხოვნილებებსა თუ
გარემოებებზე მორგების
მიზნით.

ინდიკატორი - ის, რაც
შესაძლოა ზუსტად გაიზო-
მოს, როგორც უფრო
რთული ცვლადის აპროქ-
სიმაცია (მიახლოება).

ინიცირება - რეფერენ-
დუმის ერთ-ერთი სახეობა,

məhdudiyətinə yönəlmişdir.

İmiqrasiya camaatın ölkənin
əhalisi arasına və ya ərazi
daxilinə yerdəyişməsidir.

İmpıçment vəzifəli şəxsin
kənarlaşdırılmasının rəsmi
proseduru, şəxsi və ya peşəkar
xəta motivi ilə.

İndigenizasiya mənimsəmə;
elə bir prosesdir ki, bunun
nəticəsində də xarici mal və ya
həyat qaydası yerli tələblərə və
ya mühitlərə uyğunlaşdırılaraq
mənimsənilir.

İndikator daha mürəkkəb
dəyişkənin aproksimasiyasını
(yaxınlığını) dəqiq ölçə
biləndir.

İnisiator təsiri referendum
növlərindən biridir ki, bu

როდესაც საზოგადოებას შეუძლია საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლა.

ინკრემენტალიზმი - თეორია, რომლის თანახმად გადანწყვეტილებები მიიღება არა წინასწარ გამოკვეთილი მიზნის შესაბამისად, არამედ ცვალებადი ვითარების კვალდაკვალ.

ინსტიტუციური რასიზმი - რასიზმი, რომელიც ისე ღრმდაა გამჭდარი საზოგადოების ტრადიციებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ მაშინაც მოქმედებს, როცა არ არსებობს გაცნობიერებული განწყობა ან მიზანიმიმართული დისკრიმინაცია.

ინსტრუმენტული ლიდერობა - ჯგუფის წევრების ხელმძღვანელობა, რათა მათ შეასრულონ სხვადასხვა დავალება.

ინტეგრაცია - დაახლოებისა და გაერთიანების პროცესი სახელმწიფოთა დონეზე.

zaman cəmiyyət qanunvericilik təşəbbüsü ilə çıxış edə bilər.

İnkrementalizm elə bir nəzəriyyədir ki, buna əsasən də qərarlar əvvəlcədən ayırd edilmiş məqsədlərə uyğun olaraq deyil, dəyişkən vəziyyətə uyğun olaraq qəbul edilir

Təsisatçı irqçilik irqçiliyin cəmiyyətin əənələrində və gündəlik həyatında dərin kök buraxmasıdır ki, hətta şüurlu əhval-ruhiyyə və ya məqsədyönlü diskriminasiya olmadığında təsir göstərir.

Instrumental liderlik qrup üzvlərinin rəhbərliyidir ki, onlar müxtəlif tapşırıqlar yerinə yetirsinlər.

İntegrasiya dövlət səviyyəsində yaxınlıq və birlik prosesi.

ინტეგრაცია - დაუბრკოლებელი ინტეგრაცია და კონტაქტი სხვადასხვა რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ინტეგრაციის თეორიები - თეორიები იმის შესახებ, თუ როგორ ერთიანდებიან ქვეყნები და გადასცემენ თავისი სუვერენიტეტის ნაწილს ზენაციონალურ წარმონაქმნებს.

ინტერესი - პიროვნებისა თუ ჯგუფის სარგებელი, რომელსაც უბრალო სურვილისაგან განსხვავებით ობიექტური ანუ „რეალური“ საფუძველი გააჩნია.

ინტერვენცია - ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის შიდა საქმეებში სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური ჩარევა, აგრეთვე, მის ტერიტორიაზე შეჭრა.

ინტერვენციონიზმი - ხელისუფლების პოლიტიკა, ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც საერთო წარმომავლობის რწმენა უდევს

İntegrasiya müxtəlif irqi və etnik qruplar arasında maneəsiz interaksiya və əlaqələr.

İntegrasiya nəzəriyyələri ölkələrin necə birləşmələri və öz suverenlik hissələrini fəvqəlmillə törəmələrə vermələri haqqında nəzəriyyələr.

Maraq şəxsiyyətin və ya qrupun mənfəətidir ki, sadəcə istəkdən fərqli olaraq obyektiv, yəni “real” əsası vardır.

İntervensiya bir ölkə tərəfindən ikinci ölkənin daxili işlərinə hərbi, iqtisadi və diplomatik müdaxilə, eləcə də onun ərazisinə soxulma.

İntervensionizm hakimiyyətin siyasətidir ki, bunun əsasını da ümumi mənsubiyyət inamı təşkil edir.

საფუძვლად.

ინტერვიუერი - პირი (ჟურნალისტი, სოციოლოგი და სხვა), რომელიც იღებს (ანყოფს) ინტერვიუს.

ინტერნალიზაცია - პროცესი, რომლის დროსაც კულტურული სტანდარტები ხდება ადამიანის პირადი სტრუქტურის ნაწილები.

